დანართი 1

ბაღდათის მუნიციპალიტეტში ,,მოქალაქეთა უკუკავშირის ონლაინ პლატფორმა''

განხორციელების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. ონლაინ პლატფორმის მეშვეობით ,,მოქალაქეთა უკუკავშირის ონლაინ პლატფორმა'' (შემდგომში - უკუკავშირის პლატფორმა) განხორციელების წესი (შემდგომში -წესი) შექმნილია ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის (შემდგომში- მერიის) საქმიანობაში მოსახლეობის ჩართულობისა და მუნიციპალიტეტისთვის მნიშვნელოვანი საკითხების თაობაზე საჭიროებების იდენტიფიცირებისა და წარდგენის უზრუნველყოფის მიზნით.
2. მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვანი საკითხების თაობაზე საჭიროებებისა და მოქალაქეთა უკუკავშირის დაფიქსირების პროცედურა განისაზღვრება ამ წესით.

მუხლი 2. მოქალაქეთა უკუკავშირის პლატფორმის დანიშნულება

1. მუნიციპალური პროგრამების შესახებ ინფორმაციის მიწოდება მუნიციპალიტეტის მოსახლეობისთვის და ყველა დაინტერესებული პირისა, თუ ორგანიზაციისთვის.
2. მუნიციპალური პროგრამებით (სოციალური, ახალგაზრდული, ინფრასტრუქტურული და ა.შ.) მოსარგებლე პირთა მხრიდან მუნიციპალიტეტის მიერ გაწეული მომსახურებისა და შეთავაზებული სერვისების/პროგრამების შეფასება.
3. ბაღდათის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული საქართველოს მოქალაქის მიერ ინიციატივების/იდეების დაფიქსირების შესაძლებლობა მუნიციპალიტეტში არსებული საჭიროებების შესახებ.
4. თვითმმართველობის ორგანოების მუდმივი კავშირი ადმინისტრაციული ერთეულების მოსახლეობასთან; მუნიციპალიტეტის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების ინტერესის მაქსიმალური გათვალისწინება.

მუხლი 3. მოქალაქეთა უკუკავშირის და არსებული საჭიროების წარდგენა

1. მოქალაქეთა უკუკავშირის დაფიქსირება ხდება ელექტრონული ფორმით მერიის ვებგვერდზე (https://www.baghdati.gov.ge/) არსებული პლატფორმის მეშვეობით (https://www.baghdati.gov.ge/Citizens_feedback/) .
2. მოქალაქეთა უკუკავშირის დაფიქსირების შესაძლებლობით სარგებლობს საქართველოს მოქალაქე, რომელსაც შეუსრულდა 18 წელი და რომელმაც უკვე ისარგებლა მუნიციპალიტეტის პროგრამით/სერვისით.
3. მუნიციპალიტეტში არსებული საჭიროების დაფიქსირება შეუძლია ბაღდათში რეგისტრირებულ საქართველოს მოქალაქეს, რომელსაც შეუსრულდა 18 წელი.

მუხლი 4. უკუკავშირის შედეგების და დაფიქსირებული საჭიროებების განხილვა

1. ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერია უზრუნველყოფს უკუკავშირის პლატფორმის შეუფერხებელ ფუნქსიონირებას და მოქალაქეთა ინფორმირებულობას.
2. მოქალაქეთა უკუკავშირის პლატფორმას მართავს და ამ წესით დადგენილი პროცედურების მართვის ზედამხედველობას ახოციელებს ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახური.
3. ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერი შემოსული უკუკავშირისა და საჭიროებების განხილვის შინაარსობრივ და ორგანიზაციულ ხელმძღვანელობას ავალებს მერიის შესაბამისი სამსახურის წარმომადგენელს.
4. მომზადდება უკუკავშირის და დაფიქსირებული საჭიროებების შედეგების ანალიზი მინიმუმ ორჯერ ყოველი საბიუჯეტო წლის განმავლობაში, მუნიციპალიტეტის შინაარსობრივ ნაწილზე პასუხისმგებელი პირის მიერ.
5. მომზადებული შედეგების ანალიზი ეგზავნება მერს შემდგომი განხილვისთვის.
6. ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერი უკუკავშირის შედეგების და საჭიროებების ანგარიშის შედეგებს განიხილავს მერიის შესაბამისი სამსახურის წარმომადგენლებთან ერთად.
7. ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერი საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფს დაფიქსირებული მოქალაქეთა უკუკავშირიდან და საჭიროებებიდან მინიმუმ ორი პრობლემის გადაჭრას და ასახვას მომდევნო წლის ბიუჯეტის პროექტში.
8. ამ წესით დადგენილი პროცედურების დარღვევის შემთხვევაში ამ წესის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირი, ვალდებულია გამოიყენოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი პასუხისგების ზომები ან აღნიშნულის შესახებ შუამდგომლობით მიმართოს ბაღდათის მერს.